ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #03-06/155

ქ. ქობულეთი „17" „ივნისი" 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა" (შემდგომში - შემსყიდველი), (ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. #154), მისი დირექტორის მოადგილის მ/შ კახა ბოლქვაძის (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს ,,სტუდია ვებჯორჯია" ს/კ 205197320 დირექტორის ვახტანგ ჯინჯიხაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელი – ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლებით კოლეჯისთვის შესაბამისი ობიექტის **საპრეზენტაციო გვერდის** დამზადება და განთავსება საინფორმაციო–შემეცნებით პორტალზე **CODNA.GE. შემდეგ CPV 48800000.**

2.2 საპრეზენტაციო გვერდი მოიცავს: ინფორმაციას, ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველ რუკას, მაქსიმუმ 10 ფოტოსურათს და 4 ვიდეო–ფაილის ლინკს (ვიდეო ფაილი განთავსებული უნდა იყოს საიტზე **www.youtube.com**).

2.3 საპრეზენტაციო გვერდის შემთხვევაში თბილისის მასშტაბით მომსახურებაში ობიექტის ადგილმდებარეობის ამსახველი რუკის დამზადება და აუცილებლობის შემთხვევაში ფოტო მასალის გადაღებაც შედის.

2.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდეგ სურვილის შემთხვევაში დამკვეთი მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის სამართავი პანელის მონაცემებს ღებულობს, რომლითაც მას თავისი საპრეზენტაციო გვერდის მისი სურვილისამებრ მართვა (ინფორმაციის, სურათების, რუკის ან ვიდეო–ფაილების ლინკის გამოცვლა) შეეძლება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 250.00 (ორასორმოცდაათი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის, შესაბამისი ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

4.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ისპექტირების კომისია.

5.3 მოწოდებული საქონელის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.6 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შემეცნებით პორტალზე **CODNA.GE** განათავსოს შესაბამისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდი ან საიტის ლინკი და ამის შესახებ აცნობოს დამკვეთს, (ხელშეკრულებაში მითითებულ **mail**-ზე გაუგზავნოს შეტყობინება).

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.. შემსყიდველი ვალდებულია შემსრულებელს დროულად მიაწოდოს საპრეზენტაციო გვერდისთვის საჭირო მასალა (ინფორმაცია, ფოტო–მასალა და სხვ.) და მისი ობიექტის საპრეზენტაციო გვერდის ან საიტის ლინკის განთავსებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადი

7.2. შესაბამისი ლინკის ან საპრეზენტაციო გვერდის განთავსებიდან **1 თვის** განმავლობაში, თუ დამკვეთი არ გადაიხდის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გადასახადს, შემსრულებელი უფლებას იტოვებს, რომ **CODNA.GE**-დან შესაბამისი ლინკი ან საპრეზენტაციო გვერდი გათიშოს და ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სასამართლოს მიმართოს.

7.3 მხარეები ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან მათთვის დაუძლეველი ძალის – **ფორს–მაჟორის** (საბრძოლო მოქმედება, სტიქიური უბედურება, დივერსია, ხანძარი ან სხვ.) მსვლელობის პერიოდში თავისუფლდებიან.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ფარგლებში საქონლის მოწოდების ინსპექტირებას ახორციელებს საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა" დირექტორის 2014 წლის 05 თებერვალს №01-05/18 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კონტროლის განმახორციელებელი ისპექტირების კომისია.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების ,ეარეითი მიწოდებული საქონლის ხარისხის

2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. გარანტია

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეკეთება ან მისი ახალი საქონლით ჩანაცვლება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 ივლისის ჩათვლით, მომსახურეობა უნდა განხორციელდეს 2014 წლის 17 ივნისიდან 2015 წლის 17 ივნისის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა #154;

14.2 „შემსყიდველი"–ს საბანკო რეკვიზიტები: სს ,,ლიბერთი ბანკი" LBRTGE22, ა/ა GE68LB0121121071809000, საიდენტიფიკაციო კოდი 246954620;

14.3 „შემსყიდველი" – სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა".

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას ქუჩა #45, ტელ 2 328-228, მობ: 555 603306,

15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: "სს ,,თიბისი ბანკი" GE57TB73 0283 6020 1000 01,

15.3 „მიმწოდებელი"–შპს ,,სტუდია ვებჯორჯია" ს/კ 205197320, დირექტორი ვახტანგ ჯინჯიხაძე

„შემსყიდველი" - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა".

კოლეჯის დირექტორის მ/შ: კახა ბოლქვაძე

„მიმწოდებელი"- დირექტორი ვ.ჯინჯიხაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

17.06. 2014 წელი

ქ. ქობულეთი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ მიერ, შპს ,,სტუდია ვებჯორჯია“-თან ს/კ 205197320, 2014 წლის 17 ივნისს №03-06/155 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის

„ახალი ტალღა“ დირექტორის მ/შ: ბოლქვაძე ხახა

ინსპექტირების კომისია:

- კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ანანიძე ----------
- თავმჯდომარის მოადგილე კახა ბოლქვაძე ----------
- კომისიის წევრი ჭაბუკი ვერულიძე ----------
- კომისიის წევრი მალვინა ჯიჯავაძე ----------
- კომისიის წევრი ნათია ტაკიძე ----------
- კომისიის წევრი ზაზა მეგრელიძე ----------
- კომისიის წევრი ნინა ბეჭვაია ----------
- კომისიის წევრი რომან მემარნე ----------